საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N289 2022 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№2204-IXმს-Xმპ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[16] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. გამოცხადდეს სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი.

2. შეიქმნას სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში – საკონკურსო კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი;

ბ) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

გ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე;

ე) საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ან მოადგილე;

ვ) საქართველოს სახალხო დამცველი ან საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ღია კონკურსის წესით შერჩეული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა წარმომადგენელი.

3. ამ გრძანების მე-2 პუნქტში მითითებულმა სუბიექტებმა სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარმოუდგინონ საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატურები.

4. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[16] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობების, კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განცხადების წარდგენის ვადისა და წესის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე, საკონკურსო კომისიის პირველი სხდომის გამართვიდან 1 კვირის ვადაში.

ირაკლი ღარიბაშვილი